211
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 272
დეკემბრის 19, ხუთშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 272
დეკემბრის 19, ხუთშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ქ-ნ. მელანია ფაფლანის ასული ხერხეულიძისა, ბარბარე ივანეს ასული ფავლენიშვილისა, თ-ნი ბეჟან ივანეს ძე, იორამ ბეჟანის ძე და კონსტანტინე იორამის ძე ხერხეულიძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ქალაქ ტფილისში მიხაილის საავადმყოფოში, პირველი ქმრისა, შემდეგნი ორნი ძმისა, მეოთხე ძმის წულისა და უკანასკნელი ბიძაშვილისა **შტაბს კაპიტნის**

თ. ალექსანდრე ივანეს ძის ხერხეულიძისას.

გამოსვენება გვამისა მოხდება მიხაილის სამლოცველოდან (часовня) პარასკევს, 20 დეკემბერს, დილის 10 საათზედ. წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ჩუღურეთის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზედ. პანაშვიდები საღამოობით 7 საათზედ მიხაილის საავადმყოფოს სამლოცველოში, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა. (1—480—1)

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☛ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☚

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილეისთან.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., კალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ზესტაფონში (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.
საბუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
ბორჯში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ პარასკევს, 20 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია ქართულ **დრამატიულ საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრების გაგრძელება**.

განსახილველი საგნები:

1) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1902—3 წლისა.
2) მოხსენება არტისტთა ფონდის შესახებ.
3) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა.
4) მოხსენება შესახებ ქართულის წარმოდგენების მართვისა პროვინციებში.
5) მოხსენება შესახებ დრამატიულ კურსების დაარსებისა.
6) მოხსენება შესახებ დასის მთელის წლით შენახვისა.
7) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

№ 22. ტელეფონი № 176.

საგასტროლო წარმოდგენა

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 19 დეკემბერს 1902 წ.

ნ. ჩხეიძის საგასტროლოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება პირველად ახალი პიესა

I

ცქრიალა

(Frou-Frou)

დრ. 5 მოქ. მელიაკ და ჰალევისა, თარგ. ივ. მაჩაბლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი. ბ-ნნი: დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

შეგირდებისათვის (ვინც ფორმაშია) ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „გრიგალი“, „დენიზა“, „სიძე-სიმამრი“, „მიკუნჭული ბედნიერება“ და სხვ.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს, ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

ფ ა ს ი 25 კაპ.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს. (5—6.—3)

ექიმი ალ. მალალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

ევროპიელი ქალი

ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

იბეჭდება და იანვრის დამდეგს მზად იქნება ახალი ქართული წიგნი, „**დიდი მოურავი**“, **გიორგი სააკაძის** სურათით, პოემა გ. ხეჩუაშვილისა. წიგნი შეიცავს 240 გვ. მსურველთ შეუძლიათ მოითხოვონ, გრ. ჩარკვიანის სტამბაში, მიხეილის ქ., № 65. (3—მ.—3)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფები დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

განცხადება

ერთად-ერთი ჩემი თხზულებათაგანი, რომელიც განსაკუთრებით მიყვარს და გასაოხრებლად მენანება, არის „ჩემი თავ-გადასავალი“. ნათქვამია: „ყვავსაც თავის ბახალა მოსწონსო“. შეიძლება დიდი არა იყოს-რა, მაგრამ მეკი წმინდა გული და წრფელი სული მაქვს შიგ ჩადებული. ამ თხზულებაში ყოლიფერია მოხსენებული, რაც-კი ნახევარ საუკუნის განმავლობაში მინახავს და სარწმუნოდ გამიგონია. საკუთრად ჩემ შესახებ საინტერესო, მაინც და მაინც, იმდენი არა არის-რა, რამდენიც სხვებისა. აქ არიან მოხსენებული: 1) ჩვენი მოღვაწეების წერილები, მაგალითად: გაბრიელ ეპისკოპოზის, დიმიტრი ყიფიანის, იაკობ გოგებაშვილის, გიორგი წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ვანო მაჩაბლის, და სხვათა მრავალთა, ვისიც წერილი-კი საზოგადო საქმეს შეეხებია. 2) ბიოგრაფია საზოგადო მოღვაწეების და ჩემი პირადი შეხედულობა მათ შესახებ. 3) ბანკების დაარსება ჩვენში, წერა კითხვის საზოგადოების, თეატრისა და მათ გამო გამოწვეული არჩევნები, ზედ მოყოლებულ ავან-ჩავანებით. 4) ბატონ-ყმობის ამბავი. 5) ძველებური ზნეჩვეულებანი. 6) მათი გადავარდნა და სამაგიეროს შემოღება. 7) საისტორიო ანეკდოტები და სხვანი... ერთი სიტყვით, ჩემი შეძლებისა და გვარად, ნამდვილი სარკე ნახევარ საუკუნისა! ეს ნაწარმოები, რომლის ხელმძღვანელობას თვით მე ვკისრულობ, რომ ჩემდა გუნებისად გამოიცეს, მრავალ ტომიანი იქნება. და რადგანაც ერთად მათი გამოცემა არ მეხერხება, ჯერ უნდა გამოიცეს პირველი ტომი, რომლის ბეჭვდასაც ამ იანვრიდგან შევუდგები. ფასი თვითოეულ ტომისა მანეთია და ვისაც ჰსურს შეძენა, რადგანაც ათასორასზე (1200) მეტი არ იბეჭდება, შეუძლია ამ თავითვე დაიკვეთოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, типографія „Гутенбергъ“, князію Акакію Ростомовичу Церетели და აგრევე ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, შიო ქუჩუკაშვილის სახელობაზე და ქუთაისში ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში.

(5—4) **აკაკი.**

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

მ. ი. ჰიჰინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

მ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

გ. გ. მალალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—საათ.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

გრ. მ. ხობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მალალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ ხვალ, პარასკევს, სამეურნეო საზოგადოების კრებაზე მიწვეულნი არიან პედაგოგებიც. რადგან ბ-ნი სულტან-კრიმ გირეი წაიკითხავს ამ კრებაზედ თავის მოხსენებას დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ პირველ დასაწყის სწავლების საქმეში.

✦ ქალაქის თავის მოადგილემ გუშინწინ უკვე წარადგინა მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად ახლად ამორჩეულნი ქალაქის თავი და საბჭოს მდივანი.

✦ დღეს, 19 დეკემბერს, ქართულ თეატრში დანიშნულია ქართული წარმოდგენა ქ-ნ ნინო ჩხეიძის მონაწილეობით. ქართული დასი წარმოადგენს 5 მოქმედებიან დრამას მელიაკისა და ჰალევისას, თარგმნილს ფრანგულიდან ივ. მაჩაბლის მიერ.

✦ ქალაქის სასწავლებელთა აღმსრულებელმა კომისიამ უკვე წარადგინა, სადაც ჯერ არს, თავისი დადგენილება, რომლითაც იგი ითხოვს რომ ადგილობრივ ენების გაკვეთილები საქალაქო სასწავლებელში, მეოთხე და მეხუთედ-კი-არა მესამე გაკვეთილებად დაინიშნოს; ამასთანავე მეტი დრო გადაიდოს ამ ენების სამეცადინოდ და მასწავლებლებსაც ჯამაგირი მოემატოთ.

✦ ქალაქის მამულების მეთვალყურე კომისიას უკვე შეუკრებია ყველა მასალა ბ-ნ ფურცელაძის იმ მამულის შესახებ, რომელიც, ვითომ, ოდესმე ქალაქის კუთვნილება იყო. ამ ახლო მომავალში ეს მასალა წარედგინება საბჭოს განსახილველად; კომისიამ მოითხოვა აგრედვე ის საბუთები, რომლის ძალითაც საკრედიტო ბანკმა არ მიიღო ეს მამული გირაოდ.

✦ დღეს, 19-ს დეკემბერს, დანიშნულია ქალაქის სკოლათა აღმასრულებელ კომისიის წევრთა კრება.

✦ ამ ცოტას ხნის განმავლობაში ქალაქის თავი შეიტანს განცხადებას საბჭოში, რომ ამორჩეულ იქმნას ხმოსანთაგან საგანგებო კომისია ქალაქის ინვენტარის სიის შესადგენად და რომ ამ საჭიროებისათვის საბჭომ გადასდოს საჭირო თანხა.

✦ ტფილისის პირველ დედათა გიმნაზიაში 450 ქართველი მოწაფე ქალია, რომელთაგან ძალიან ცოტა სწავლობს ქართულს ენასა... ვინც სწავლობს, იმასაც არ შეაქვს დაწესებული ფასი ამ ენის სწავლებისათვის. რადგან განსაკუთრებული თანხა არ არსებობს ქართულის ენის მასწავლებლის დასაკმაყოფილებლად, ამის გამო ხსენებული გიმნაზიის მთავრობა იძულებულია შესწყვიტოს ამ ენის სწავლება... ძალიან კარგი იქნება, რომ თავად-აზნაურობამ ამ სამწუხარო გარემოებას ყურადღება მიაქციოს და იმ თანხას, რომელსაც იგი აძლევს ტფილისის დედათა გიმნაზიებს (2000 მან.), ქართველ ქალთათვის სტიპენდიების დასანიშნავად, ცოტაოდენსაც მოუმატებდეს ქართულის ენის სწავლებისათვის.

✦ როგორც ხმები ისმის, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის გამგეობას, ქუთაისის სას. სემინარიის მთავრობის მოწერილობის თანახმად, მსჯელობა ჰქონია იმის შესახებ, საჭიროა თუ არა ამ სასწავლებელში არსებობდეს ქართულის ენის კათედრა, ვინაიდგან განძრახვაა სამეგრელოს საეკკლესიო სკოლებში მიასპობილ იქმნას ამ ენის სწავლებაო.

✦ ფოსტა-ტელეგრაფის უწყება გვთხოვს ვაუწყოთ მკითხველს საზოგადოებას, რომ 20 დეკემბრიდან ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა და მისნი განყოფილებანი (ნავთლუღსა და მიხეილის ქუჩაზედ, № 132) მიიღებენ ბედნიერ დღეების მისალოც დეპეშებს წინდაწინვე და დეპეშის მამტანმა ზედვე უნდა აღნიშნოს, შობას ულოცავს თავის მახლობელს, თუ ახალს წელიწადს. ეს აღსანიშნავი სიტყვა, რასაკვირველია, მისალოც სიტყვების რიცხვში არ ჩაითვლება.

✦ ბაქოს ორ რუსულ გაზეთ შორის, სახელდობრ „Бакинс. Извѣст.“-სა და „Баку“-ს შორის ისე გამწვავებულა ურთიერთობა, რომ „ბაქოს“ თანამშრომელს ბ-ნს გ. სტარცევს დაუბეჭდია, ბაქოელ ჟურნალისტებ შორის მაბეზღარი ურევიაო. ამაზედ „Бак. Изв.“-ში ი. ხეჩატუროვს პასუხი მიუცია და სტარცევისათვის ტყუილის მთქმელი დაუძახნია. ამის გამო სამედიატორო სამართალი დანიშნულა, რომელსაც გადაუწყვეტია, სხვათა შორის, რომ კილო ზემოხსენებულ საპოლემიკო წერილებისა არ შეჰშვენის გაზეთის მუშაკის ღირსებასაო. ი. ხეჩატუროვს

უკვე თავი დაუნებებია „Бак. Изв."-ს რედაქციისათვის.

◆ ქალაქის სკოლათა აღმსრულებელმა კომისსიამ დაადგინა, რადგანაც ქალაქის სადგურში მოუხერხებელია სკოლის მოსწავლეთათვის საშობაო ხის გამართვა, ამიტომ სკოლის გამგეებს დაურიგდეს ექვს-ექვსი თუმანი და მათ ეს ფული მოახმარონ ბავშვებს ისე, როგორც თითონ დაინახავენ საჭიროდ.

◆ გუშინ, 18 დეკემბერს, ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა ქალაქის ხელოსანთა დეპუტატების კრება; დეპუტატებს უნდა გაენაწილებინათ ამქართა შორის 3,410 მან., სახელოსნო გამგეობის შესანახად. როგორც კრებაზედ წაკითხულ ხელოსანთა სიიდგან აღმოჩნდა, ამ ჟამად ქალაქში ირიცხება ატესტატიანი ოსტატი—1,431, იმისთანა ოსტატები, რომელთაც ატესტატი არა აქვთ და ნება დაურთველად სახელოსნო გაუღიათ—366 და ქარგლები და ოსტატის თანაშემწენი—2,263 კაცი; ამ სიის წაკითხვამ დეპუტატთა შორის დიდი ლაპარაკი გამოიწვია. ამტკიცებდნენ, რომ სია დანამდვილებით არ არის შემდგარი, რადგანაც ქალაქში, არა ნაკლებ, 15 ათასიდგან—16 ათასამდე ხელოსანია.

◆ გუშინწინ, 17 დეკემბერს, სამეურნეო საზოგადოების სადგურში სულთან კრიმგირეის თავმჯდომარეობით, მოხდა კრება, რომელზედაც განხილული იყო, რა ენაზედ უნდა სწარმოებდეს სწავლა საერო-სასოფლო სკოლებში. კრებაზედ მიწვეულნი იყვნენ ბ-ნნი ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, ა. ნატროშვილი და სხვანი. კრებაზედ წაკითხულ იქმნა ბ-ნ ნატროშვილის მოხსენება ამ საგნის შესახებ. ავტორი მოხსენებისა ყოვლად საჭიროდ სცნობს ზემოხსენებულ სკოლებში ადგილობრივ ენაზედ სწავლას. რეფერენტს დამსწრენი ერთხმად მიემხრნენ, რადგანაც მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლება ხალხში სამეურნეო ცოდნის გავრცელებაო; ამავე ენის შესწავლით შეიძლება ზნეობრივ განვითარდეს მცხოვრები და უფრო დაბეჯითებით მივახწიოთ იმ საწადელს, რომ მცხოვრებლებმა ადვილად და მალე შეითვისონ სახელმწიფო ენაო; კრებამ გარდასწყვიტა, შემუშავდეს ის, თუ რა ფორმით მოხსენდეს ეს საგანი საზოგადო ყრილობას განსახილველადაო; ამასთანავე კრებამ მოისურვა ნატროშვილის მიერ წაკითხულ მოხსენებაში ზოგიერთ ადგილების შესწორება.

◆ გუშინწინ, 17 დეკემბერს, ქალაქის სადგურში ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა ქალაქის ხორცის დუქნების მცირე კომისიის წევრთა კრება; კომისიამ დაამტკიცა ამ დუქნების 1 მარტიდგან 1 ნოემბრამდის შესავალ-გასავლის ანგარიში და დაადგინა ეს დადგენილება შეტანილ იქმნას განსახილველად დუქნების ზედამხედველ კომისიის წევრთა კრებაზედ.

◆ საგუბერნიო სამშენებლო განყოფილება დაეკითხა ქალაქის გამგეობას, რა მიზეზია რომ ჩვენ მიერ მოთხოვნილი ცნობანი 18 ოკდომბერს, იმის შესახებ თუ რა ნიხრია დაწესებული ბორნებზედ და ნავებზედ მტკვარში გამოსვლისათვის, ჯერაც არ წარმოგიდგენიათო; საგუბერნიო განყოფილება ხელმეორედ ითხოვს ამ ცნობითა წარმოდგენას.

◆ 1901 წელს, 4 ოკდომბერს სახელოსნო სკოლის დირექტორს წარუდგენია მოწერილობა სასკოლო კომიტეტში და ატყობინებს, რომ ამ სკოლის სახელოსნოებში დამზადებულ სხვა-და-სხვა ნივთებზედ დაიხარჯა 170 მანეთიო; ქალაქის გამგეობამ გადაათვალიერა რა საქმები, აღმოაჩინა, რომ ეს ანგარიში გასტუმრებული არ არის; ამიტომ, გუშინ ქალაქის გამგეობა შეეკითხა სასკოლო კომიტეტს: რა თანხიდგან უნდა დაიფაროს ეს დანახარჯი, ან რატომ ამდენ ხანს კომიტეტმა არ იკისრა ამის გასტუმრება და ეხლა მაინც გვიჩვენეთ წყარო, რა თანხიდგან დაიფაროს ეს დანახარჯიო.

◆ ქალაქის თავმა გუშინ წარუდგინა მთავრობას სავაჭრო დეპუტატებათ ამორჩეულნი დასამტკიცებლად.

◆ დღეს, 19 დეკემბერს, დანიშნულია ტფილისის ქალაქის საბჭოს კრება კრებამ უნდა განიხილოს ის საქმეები, რომლის განხილვაც წინა კრებაზედ ვერ მოასწრო.

◆ 29 დეკემბერს ქალაქის თავ-შესაფარის სადგომში შობის ხე გაიმართება იმ სულით ავადმყოფთათვის, რომელებიც ქალაქის სამკურნალოში არიან.

◆ რუსეთის იმპერიის სამკურნალო დეპარტამენტისა, საერო განათლების სამინისტროს და უწმინდესის სინოდის შეთანხმებით, საეპარქიო სასწავლებლებში კურს-დამთავრებულ ქალებს მიენიჭათ თანასწორი უფლება გიმნაზიებში სწავლა დამთავრებულებთან ერთად; ამიერიდგან საეპარქიო სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულებს ნება ეძლევათ სხვა სკოლებში შესვლისა, ამასთანა საერო განათლების სამინისტროსი განკარგულება გამოიწვია ტფილისის საბებიო ინსტიტუტის შეკითხვამ, რომელმაც ამ წლის დამდეგს უარი უთხრა ტფილისის საეპარქიო სასწავლებელში კურს დამთავრებულს რამდენსამე ქალს და არ მიიღო შეგირდად. სამინისტროს ზემოხსენებულ განკარგულების შემდეგ საბებიო ინსტიტუტმა მიიღო ეს მოსწავლე ქალები.

ისტორიული ცნობა.

4.

უკეთურ ძალთა დამხობა.

მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდგან, ნამდვილ ხელმწიფეს გარდა, ყველა ხელჯოხიანიც მეფობას ჩემულობდა. აფხაზეთ' იჯდა მეფე. არტანუჯს განაგებდა საკუთარი მეფე. კლარჯეთს იყო სხვა მეფე. ტაოს ხელმწიფობდა დავით დიდი—მეფე-კურატპალატი, კახეთს იჯდა თავისი მეფე. შუღლი, კრტიმლვა, დავიდარაბა განუწყვეტელი იყო ქართველ თავად-აზნაურთა შორის.

—

მეფეთა შორის ყველაზედ შესანიშნავი და სახელოვანი იყო ტაოს პატრონი, ხელმწიფე-კურატპალატი—დავით დიდი, კაცი მშვიდი. ტკბილი, უხვი, კაცთ-მოყვარე, ქვეყნის და ეკკლესიების მაშენებელი, ძლიერი, სამშობლოს მტკიცედ დამცველი, მწიგნობრობის და განათლების მფარველი, აღმაყვავებელი. მისმა მხედრობამ, სკლიაროსის განდგომილების დროს (978 წ.), თორნიკეს წინამძღოლობით, კონსტანტინეპოლის ტახტი იხსნა მოსალოდნელ განსაცდელისაგან.

დავითი იყო უშვილო და შვილად აღეზარდა ბაგრატი. ამ ბაგრატის მამა იყო გურგენი, ხოლო დედა გურანდუხტი, ასული აფხაზეთის მეფის გიორგი II-ისა.

დავით დიდისაგან ბაგრატს შეეძინა ყოველი კეთილი ზნე-ჩვეულებანი.

—

კახეთისა და აფხაზთა უნიჭო მეფეებისა და აზნაურთა ვერაგობის გამო ქართლი ბრძოლის ველად შექმნილიყო. იჟლიტებოდა უკოდველი ხალხი. კვნესა-ვაება გაისმოდა საქართველოს არემარეზე.

—

ქართლს ერისთაობდა იოანე მარუშიძე, კაცი სახელოვანი, პატივცემული დიდთა და ძდაბიოთაგან. ერის ტირილი მასაც ატირებდა, ხალხის კვნესა გულს უგმერდა. მოიწვია დიდნი და წვრილნი და ურჩია, გაევზავნათ კაცი ტაოს წინაშე დავით დიდისა და მეფედ გამოეთხოვათ მისი შვილობილი ბაგრატ.

—

ეს ბაგრატ ჯერ მცირე წლოვანი იყო, რომ მისს მამობილს მეფედ გამოეცხადებინა. „ბაგრატ ჯერეთ ჰასაკსა ზედა უსრულ იყო, ოდეს ამან დავით დიდმან შემოკრიბნა ყოველნი ქართველნი აზნაურნი და უბრძანა: „ესე არს მკვიდრი ტაოსა, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი და მე ვარ მოურავი მისი და თანაშემწე. ამას დაემორჩილენით ყოველნი".

—

გამეფდა ბაგრატ III აფხაზეთს 980 წელს და ქართლსა და აფხაზეთს 985 წელს. გარნა „იწყეს მედგრობით ზაკულება, ვითარცა არს ჩვეულება, ქართლისა აზნაურთა, შეეუბნეს, ნაქურდევველთა და საბოტარელთა, მოიყვანეს ლაშქარი კახეთით, გასცეს უფლისციხე და შეიპყრეს ბაგრატ III, მისი მამა გურგენ და დედა გურანდუხტ და წაასხეს კახეთად".

სცვნა დავით დიდმა, მრავლის ძალით თრიალეთს გადმოდგა. კახელთ შეეშინდათ. განუტევეს ტყვენი, დასთმეს უფლისციხე და სხვა სიმაგრენი, გარდა წისქვილისციხისა და გრუისა.

—

ბაგრატი შეუდგა ხელმწიფურს მუშაკობას, სამშობლოს გადიდებისა და გაერთიანებისათვის მედგრად ზრუნავს. სადაც ვინ ურჩი და დუხჭირი პოვა, დაამხვა, სადაც ვინ ერთგული და მოწადმართე იყო, დაიახლოვა, საქმე მიუჩინა.

—

ბაგრატს თავს არ უხრიდა მძლავრი რატი ორაგლიანი, ერისთავი კლდეკარისა და მპყრობელი ატენისა თრიალეთისა, მანგლისისა და სვირეთისა.

ბაგრატმა შეჰყარა ლაშქარი ამ ურჩის დასასჯელად, შესაპყრობად. გარნა მეფის მტრებმა მიუტანეს ამბავი დავით დიდს, შენი შვილობილი შენ დასამხობად მოდისო და არა რატისაო. დავითს მართალი ეგონა და დიდის ჯარით გამოსწია თრიალეთისკენ.

ბაგრატმა აუხსნა თავის მამობილს, რისთვისაც შეეკრიბა ლაშქარი. დავითი უკანვე დაბრუნდა.

ბაგრატი შემოერტყა კლდეკარს. ამაყმა რატიმ იკადრა ციხიდგან გამოსვლა, შეევედრა მეფეს არ მოესპო მისთვის უბადრუკი სიცოცხლე. მეფემ შეიწყალა და რატი და მისი შვილი ლიპარიტ წარგზავნა არგვეთს.

—

ბაგრატმა კახთ მეფეს დავითს მოსთხოვა ქართლის ციხენი. დავითმა შემოუთვალა: „უკეთუ ეძიებ ციხეთა, იყოს ჩვენ შორის დამჯარებელ მკლავი და ომი; ხოლო მე წინამოგეგებო ქსანსა ზედა".

კახეთის მეფის ძალა მისს ქადილს არ შესწევდა. ბაგრატმა დაიპყრა მთელი კახეთი და ერეთი და კვირიკე, ძე დავით მეფისა, რომელიც მოკვდა ამ კრტიმლვაში, ტყვედ წამოიყვანა.

—

განჯის ამირა ფადლონი არ ასვენებდა კახეთს. ფადლონს ეჯავრებოდა ქრისტიანები და სჩაგრავდა მათ. ბაგრატის შიში არ ჰქონდა. დიდის ლაშქრით ბაგრატი მივიდა რანს, მოადგა ქალაქსა შანქორს, დაუდგინა ფილაკავანი და მცირედთა დღეთა დალეწნეს ზღუდენი შანქორისანი... ფადლონმა მხოლოდ ახლა „შეჰხედა ღმერთს", ითხოვა შენდობა, მონურად მსახურება თავს იდვა, ზურგი ხარკით დაიმძიმა...

—

მძლავრი მთავრები მეფეს ან სულ ამოეგდო, ან და ქედი მოეხრევინებინა ქვესკნელამდის. გადარჩენილიყვნენ მხოლოდ თითოოროლა ხელმწიფენი არტანუჯ-კლარჯეთს. მათმა უკანასკნელმა წუთმაც მოაწია.

—

მეფე ფანისკერტს იყო. გამართა დარბაზობა, მოიწვია მეფეთა ნატამალნი, უდარბაზა, ალხინა და მერე... შეიპყრა იგინი, წარმოგზავნა და თმოგვის ციხეში შეამწყვდია, და ამ ციხეშივე განუტევეს დიდების მოყვარე სული თვისი კლარჯ-არტანუჯის ხელმწიფეთ.

—

„ვითარ ხელოვანმან მენავეთ-მოძღვარმან, ეგრეთ გააგო საქმე". შეიქმნა ბაგრატ თვითმპყრობელად ყოვლისა საქართველოისა და კავკასიისა. ვახტანგ გორგასლის შემდეგ ამისებრი დიდი მეფე არავინ გამოჩენილიყო, ამისებრი «სიმართლის მართლიად მომქმედი", „ქვრივთა და ობოლთა შემწყნარებელი", „გლახაკთა და დავრდომილთ მოწყალე", ეკლესიათა და ქვეყანათა მაშენებელი.

მან ჩაჰყარა საძირკველი ქუთაისის ტაძრისა. მან აავო საყდარი ბედიისა და დაუდგინა ეპისკოპოსი. „უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმისყოფად სიმაღლისათვის და დიდებისა მეფობისა მისისასა, პირველად განიცადოს სამკაული ბედიის საყდრისა და მისგან გულის-ხმა ჰყოს და ცნას, რომელ არავინ ყოფილობს სხვა მეფე მსგავსი მისსა ქვეყანისა ქართლისა და აფხაზეთისა".

ბაგრატის ძე ბასილი ბრწყინავდა საქართველოს მაშინდელს აკადემიაში—ხახულს და მანვე დალოცა ხახულს მისული მნათობი ქართველთა, გიორგი მთაწმინდელი.

ბაგრატის ასულის წული ცოლად ჰყვანდა ფერის ჯოჯიკისძეს და ამათ სახლში აღიზარდა ზემოხსენებული გიორგი მთაწმინდელი. თავისივე ბიძის, დავით დიდის მწერალი უხუცესის, გიორგის ხელმძღვანელობით, და მერე უმაღლესი სწავლაც მათვე მიაღებინეს კონსტანტინეპოლში.

გარდაიცვალა ბაგრატ მეფე 1014 წელს, მაისის 7-ს, პარასკევს.

ბაგრატის მიერ განმტკიცებულს ბალავარზე აღეგო აღმაშენებლობა, თამარ მეფობა და რუსთველობა.

ბოროტ ძალთა დამხობით ქვეყანა ამაღლდა, გაბრწყინდა.

ბერი.

† სოფიო მიქელაძისა

(წერილი კულაშიდგან)

შემდეგ ხანგრძლივის ავადმყოფობისა, აქ გარდაიცვალა თავადი სოფიო პეტრეს ასული მიქელაძისა, რომელიც მიწას მიაბარეს 12 დეკემბერს. მის უდროვოდ სიკვდილმა სოფელს და ადგილობრივ სასწავლებელს სამუდამოდ დაუკარგა ერთი უპირველესთაგანი მზრუნველი და მოღვაწე. ს. მიქელაძისამ პირველად შემოიტანა კულაშს აბრეშუმის ცელლულიარული თესლი და გააცნო ადგილობრივ მეაბრეშუმეებს ევროპიული თესლის პარკი და რიგიანად აბრეშუმის ჭიის მოვლა. მის შემწეობით ადგილობრივს ნორმალურს სასწავლებელს მუქთად ჰქონდა დათმობილი ვეებერთელა სახლი და ფურცლის ბაღჩა ჭიების გამოსაკვებად და მუშები და ყოველნაირი მოწყობილობა, რაც საბრეშუმოში არის საჭირო, თავადის სოფიოს თაოსნობით სოფელში გაშენდა გაუმჯობესებული ფრინველი და ეხლა მარტო კვერცხს ათასობით და ასი ათასობათ აგზავნიან უცხოეთის ბაზრებში. მის თაოსნობით აქ დაარსდა სამეურნეო ფრინველთა გამაუმჯობესებელი კომიტეტი, რომლის დავმჯდომარედ იყო თვითონვე თ. სოფიო

ფელეტონი

იორდანე

(ამბავი)

VI

(დასასრული*)

მანამ ძალუაჩემი მღელვარებით მიამბობდა თავის დაკარგულ მფლობელობის ამბავს, თავის ობლობის საშინელებას და საშვილიშვილოთ მამულზედ ხელის აღებას, ვაებას, ლომაურმა სუფრა დაამზადა და ყოველი კეთილი ზედ დააწყო. ძველი კახური წითელი ღვინოც-კი არ იყო დავიწყებული, რაც ძალუაჩემის უწინდელ საოჯახო ბიუჯეტს თავის დღეში არ ჰქონია ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილი.

— ჰხედავ, შვილო, როგორ მანებივრებს და ჩემ ჯანმრთელობაზედ როგორ ჰფიქრობს იმეკუნათ განწესებული იორდანე,—ჩუმათ მიჩურჩულა ძალუაჩემმა, როდესაც „კახური" შევამჩნიე.

— თქვენ გწყინთ, ძალო, მისი ერთგულება და სვინდისიერი სამსახური? პირიქით მე ძრიელ მაკვირვებს მაგვარი გულმტკივნეულობა შეუგნებელ გლეხ-კაცისაგან და არ ვიცი, რითი ავხსნა?

— შენ ეხლავე იმის მხარეს იჭერ,—წყენით მიპასუხა გაიანემ—მაგრამ ცოტა რო ჩაუკვირდე ჩემ მდგომიარეობას, შენ თითონ მიხვდები, რომ უნდა მწყინდეს. მე მიფრთხილდებიან, მივლიან, მილოლიებენ; ჩემ საკუთარ სახლში მე, სახლის პატრონს, მპატრონობენ, ჩემს ავსა და კარგს განაგებენ, აწესრიგებენ...

— სადილი მიირთვით, გენაცვალე... დღე თითქმის დაღამებულია და ხალხი-კი თქვენ ნახვას ელის,—მიიხრა ლომაურმა, როდესაც სუფრაზედ მაოლაბებით ცხელცხელი წვნიანი დასდგა.

— ხალხი ჩემ ნახვას ელის?—გაკვირვებით შევეკითხე—ნუ თუ ვახსოვარ კიდევ ჩემ საყანელებს?

— უნდა გიანბონ, გახარონ, რჩევა გკითხონ...—ცოტა არ იყოს უწინდელის შერიანობით წაიტუტუნა ძალუა ჩემმა.—იქ გაგზავნიდნენ არჩეულ კაცებს და აქ მოხველ და არ გახარებენ!..

— თქვენ თითქო გწყინთ ჩემი მოსვლა, ძალუა ჩემო? მე ერთი წუთითაც არ ვისარგებლებ თქვენის სტუმართ-მოყვარეობით, თუ...

— ქალბატონო, სადილი მიირთვით, წვენი გაცივდება...—მოუთმენლად და, ცოტა არ იყოს, გლეხურის უზრდელობით გამაწყვეტინა ლომაძის ქალმა და ეშმაკურად თვალიც მიყო, ვითომ შენ მასპინძლობას მაგას ვინა ჰკითხამსო.

ეხლა-კი მივხვდი ძალუა ჩემის გულის ტკივილს...

VII

ჩვენის სახლის მოახლოვებით შვიდი დიდი მუხა სჩრდილავს სოფლის შუა მოქცეულ პატარა მოედანს. ეს მოედანი საკვირაო სალაყბოა და საყანეთის ყოველი ავი და კარგი ამ მუხებ ქვეშა სწყდება. ეხლაც მთელი სოფლის ვაჟკაცობა უხნიერესიდგან დაწყობილი, ვიდრე თხუთმეტი წლის მეხრემდე, აქ, ამ ჩრდილებ ქვეშ შეყრილიყვნენ და გულმოდგინედ უსმენდნენ თავიანთ მოურავ-მამასახლისს იორდანეს.

არა—ნაკლების გულ მოდგინებით და მოწიწებით მივუახლოვდი მეც ამ არა-ჩვეულებრივ მოურავს.

მთელი კრებული ფეხზედ წამოიდგა.

— გაგიმარჯოთ, ჩემო.....—და ველარ განვაგრძე ლაპარაკი. რა მეთქვა მათთვის? კინაღამ არ უთხარ „ბატონებო"-მეთქი და სიტყვა შუაზედ გამიწყდა.

— შვიდობა თქვენი, ქალბატონო!—ერთხმავ შესძახეს გლეხებმა, ქუდები მოიხადეს და ვერც-კი შენიშნეს ჩემი ყოყმანი.

— შვიდობა თქვენ მობრძანებას...—კიდევ გაიმეორა, წყნარად, დარბაისლურად და ქუდ მოხდილი წამოდგა ჩემ წინ კრების მეთაური.

მე ხელი გაუწვდინე ჩამოსართმევად; ის უკან ჩამოდგა და მხოლოდ თავი დამიკრა დაბლად, მოწიწებით და ესე რამდენიმე წამი ხმა-ამოუღებლივ ვიდექით ერთმანეთის წინ.

— ჩვენებიანთ მამულს თურმე ჰყიდულობთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ...—ცოტა არ იყოს ხმის კანკალით უთხარ უფრო იორდანეს, მანამ აქ შეკრებილ ხალხს.

— დიაღ, გადაწყვეტილი გვაქვს. ბატონებიც დაგვეთანხმნენ. საქმე საქმეზეა მიმდგარი, მხოლოდ კნ. გაიანე ვერ დაგვითანხმებია... თქვენ უნდა დაგვეხმარნეთ, ჩააგონოთ... მართალია კანონით ვერას დაგვაკლებს, მეშვიდედი მოზომილი არა აქვს და ვერც გამოაკლებს მთელს მამულს, მაგრამ მაგისი წყენა არ გვინდა, უმაგის ლოცვა-კურთხევოთ მამულს არ შევეხებით...

ეს პატარა სიტყვა წარმოსთქვა იორდანემ და მით დრო მომცა დამეთვალიერებინა ის კაცი, რომელმაც თავისის მოქმედებით ამდენი ფიქრი და გაკვირვება გამოიწვია ჩემის მხრით.

დიაღ, იორდანე გარეგანის შეხედულობითაც ღირს შესანიშნავი იყო და ცხადად გაირჩეოდა სხვა გლეხებისაგან.

ჩემ წინ იდგა შუა ტანისაზედ ცოტა მაღალი, წერწეტი და არა ჩვეულებრივი გლეხკაცი, პირი-სახე წმინდად ჰქონდა მოპარსული და ოდნავ შექაღარევებული ულვაში უმშვენებდა მაგრად მოკუმულ ტუჩებს. მისი პატარა შავი თვალები გონების და დარბაისლობის სარკედ იყო ქცეული. ტანთსაცმელიც შეესაბამებოდა იმის გარეგან შეხედულობას. ყომრალი ჩოხა, შავ-ჩაფარიშ მოკერებული, შავი დიბეტის ახალუხი, სუფთა წინდა ჩუსტებში ჩაკეცილი ყომრალივე შარვალი, შავ, უბრალო ტყავის ქამარზედ ჩამოკიდებული კერმუხტის ქარქაშით ხანჯალი, რომელზედაც ეხლა ორივე ხელით იყო დაბჯენილი და თავისის რიგიანის გარეგნობით განახორციელებდა ჩემ თვალში იმ იდეალურ ქართველ გლეხს, რომელიც დღემდე მხოლოდ ჩემს ოცნებაში იყო გამოხატული. დღეს-კი ნამდვილ, ცოცხალ ტიპად მედგა თვალ-წინ და მაღელვებდა.

— მე მზათა ვარ გიშუამდგომლოთ, თუმცა ძალუა ჩემს, როგორც ვატყობ, თავის უფლების დათმობა მთელ სიცოცხლეთ უღირს და გაჭირვეულდება,—მივუგე მე.

— ჩვენც ვგრძნობთ მაგის გულის ბოღმას, გვესმის მაგის ვარამი, მაგრამ, აბა, წარმოიდგინეთ, ქალბატონო, რაღას აქნევს თავის მეშვიდედს? თითონ ფეხზედ ველარ წამოდგება და ჩვენ პირობას ვაძლევთ წერილობით, რომ, მანამ ცოცხალია, მეშვიდედი ფულად ჩავაბაროთ ხოლმე ყოველთვის და, როგორც ნებავს, ისე მოიხმაროს, ან თუ ნებავს, ისევ ეგრე მოუვლით, უპატრონებთ და თავის შვილებსაც ეგრე აქვთ ნაბძანები, სახლიც ეგრე მაგათ ხელში იყვეს; მაინც ისე გვაქვს გადაწყვეტილი, ქალბატონის შემდეგ საბატონო სახლი სკოლად უნდა გადაკეთდეს და იმის ხვედრი მეშვიდედიც იმავე სკოლის შესანახად უნდა გადაიდოს.

— გარდა მაგისა, ქალბატონო, ჩვენ კიდევ გვაქვს თქვენთან სათხოვარი და უფრო დიდი სათხოვარიც—განაგრძო დინჯად და დალაგებით იორდანემ—ჩვენ თითონ უნდა გხლებოდით თქვენთან, მაგრამ, წელანაც მოგახსენეთ, თვით ღმერთმა მოგვივლინა თქვენი თავი. საქმე ის გახლავთ, რომ ბეჩავი გლეხი კაცი ვერ ენდობა დაქირავებულ ადვოკატს! განა არ მოგეხსენებათ, რამდენი უსამართლობა მოხდა გლეხთა უცოდინარობით, რამდენი გლეხთა საზოგადოება დაილუპა გაიძვერა ადვოკატების ოინებით! აი, თუნდ თქვენი ძმების მამული რო იყიდებოდა პრიკაზში. ჩვენ ორასი თუმანი ჩავაბარეთ „პოვერნიას" მამულის პატრონის გადასაცემათ, ვითომ და ბედ მისაცემათ, და მამული-კი ისე გაიყიდა ტორგით, რომ ჩვენ ვერც-კი გავიგეთ. ადვაკატის ბარათი, რომ ორასი თუმანი ჩაიბარა ჩვენგან, აქა გვაქვს, მაგრამ რა თავში ვიხლით? რა წავართვათ? ან სად გვცალიან იმის უკან სადევნელად? ჩვენ გვეშინიან ისევ იმისთანას არ გადვეკიდოთ ამ ხელადაც და, ამიტომ, თქვენ გირჩევთ ვექილად. დაე, თქვენმა ბიძაშვილებმაც თქვენ მოგანდონ ვექილობა და ეს საქმე თქვენ გაგვითავეთ ჩვენ მხოლოდ თქვენ გენდობით და გვჯერა, რომ არ მოგვატყუებთ.

— მე, ჯერ ერთი რომ, თავის დღეში არ ვყოფილვარ იმ დაწესებულებაში, სადაც მაგ საქმეებს აწარმოებენ და არც მესმის, როგორ უნდა მოვიქცე. და მეორე, რად მანიჭებთ მაგოდენ უფლებას? რით დავიმსახურე თქვენი მაგოდენი ნდობა?

— ჩვენ გვწამს და ვიცნობთ კიდეც, ვინც ღმერთს სანდო კაცად გაუჩენია,—მორცხვად, მაგრამ დარწმუნებით სთქვა იორდანემ.

— თქვენ, ჩქვენ რაღას იტყვით? თქვენც აგრე სარწმუნოდ მიგაჩნივართ?—შევეკითხე დანარჩენ გლეხებს.

— დიაღ, ჩვენც გიცნობთ და იორდანესიც გვჯერა,—ერთხმად მომიგეს გლეხებმა.—ათი წელიწადია, რაც ამ ჩვენ საქმეებს მეთაურობს და არ მოუტყუებივართ! მოტყუებაც არ შეუძლიან, განა არ მოგეხსენებათ, როგორი ღვთის კაციც არის.

— მაშ თანახმა ვარ,—ვუთხარი მე—ვეცდები იორდანეს პირი არ შეურცხვინო თქვენთანა...

ეკ.—ლი.

---

*) იხ. „ივერია" № 271.

ეროვნული

განსვენებულის სამარადისო მისწრაფება ეს იყო: „ოჯახის მყუდროების დაცვა და მისი სამსახური, საზოგადო საქმეზედ პრაქტიკული მოღვაწეობა და არა მარტო უსარგებლო ლაპარაკი“. კულაშის სასწავლებლის დაარსების დროს თავადი სოფიო თავის ფეხით დადიოდა ნაცნობებში და აგროვებდა ფულებს სასწავლებლისათვის. ბოლოს დროს, როდესაც შეუბრალებელს სიკვდილს ებრძოდა, ადგენინებდა სიას იმ პირთა, რომლებისთვისაც ფული უნდა ეთხოვა ადგილობრივ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ.

თ. სოფიოს საზოგადო მოღვაწეობას დიდად აფასებდა და პატივს სცემდა კ. პ. იანოვსკი. 1895 წელს, სასწავლებლების რევიზიის დროს, ერთს დიდს შეკრებილებაში ამ სიტყვებით მიჰმართა თ. სოფიოს: „მახარებს, თავადის ასულო, თქვენი დედობრივი ზრუნვა ადგილობრივს სწავლებლებზედ და მოზარდ თაობაზედ, მაგრამ არ მიკვირს-კი, რადგანაც ქართველ ქალს ხვედრად ხვდა საქართველოს განმანათლებელ წმინდა ნინოსაგან საქართველოზედ ზრუნვა; გმადლობ, გმადლობ და ღმერთს ვსთხოვ, საქართველოს ბევრი ეყოლოს თქვენისთანა დედა და მზრუნველი“.

დამსწრე

ჩვენებური ამბები

ყვარელი (თელავის მაზრა). ალაზ-ის მარცხენა მხრის ყველა სოფლებზედ უმშვენიერესი და თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ყვარელს. ამ სოფელს პირველი ადგილი უჭირავს მთელს კახეთში მოსავლით, შეძლებით მცხოვრებთა სიმრავლით. ერთის მხრით ყვარელს აკრავს კავკასიონი, მეორე მხრით აქვს გადაჭიმული მოსავლიანი ველები ალაზნამდე. აქაური ვენახები, აქაური ღვინო, ყვარლური ღვინო ხომ ნაქებია მთელს საქართველოში.

ყვარელში ამ ჟამად ირიცხება მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებად 950 კომლი და შემოხიზნულებიც 100 კომლამდის იქნება. ასეთ სოფელს არა ჰყავს თავისთვის ცალკე ექიმი ან ფერშალი. კახეთში ბევრმა სოფლებმა დაიარსეს ქსენონები და ინახავენ ექიმებს თავიანთ ხარჯით და ყვარელმა-კი ეს ვერ შესძლო, ვერც დაიარსა ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

კოტე ალაზნისპირელი.

თელავის მაზრის თავად-აზნაურთა და მემამულეთა კრება.

(წერილი თელავიდგან).

(შემდეგი*)

2-ს დეკემბერს, საღამოს 7 საათზედ, დაიწყო კრება.

თავმჯდომარემ ჩამოაგდო ლაპარაკი სარწყავ წყლით სარგებლობაზედ, სადაც არის, და სარწყავ წყლის მოპოვებაზედ, სადაც იგი დღეს არ არის.

გამოითქვა აზრი, რომ ახლა სარწყავ წყლით სარგებლობა მეტად არეულ-დარეულია, რომ თავს სდევს ცემა-ტყეპა, რომ კანონმდებლობამ 1890 წლ. არ გააწესრიგა წყლით სარგებლობის საქმე და, რომ ახლა უფრო ძალ-მომრეობაა ამ საქმეში გაბატონებული. დამსწრეთა შორის ცოტანი აღმოჩნდნენ მცოდნენი, ვინ არის მერაბი და რჩევის წევრებისა თითქმის არაფერი არ იცოდნენ.

თ. ი. ჭავჭავაძე. ურიგობა და ძალ-მომრეობა სარწყავ წყლით სარგებლობის დროს ისეთი ძველი დღიური მოვლენაა, ალაზანს გაღმა საზოგადოდ, და ყვარელში განსაკუთრებით, რომ წესიერება, თუ-კი როდისმე დამყარდება, ყველას გაუკვირდება ხოლმე. ჩემის აზრით, გაწესრიგდება ეს საქმე, როცა ამორჩეულნი იქმნებიან მოხელეებად ინტელიგენტნი.

ზ. თათუზოვი. მე არ ვიცი წეს-რიგი სარწყავ წყლით სარგებლობისა, ხოლო საჭიროა გავიგოთ, როდის იყო უკეთესი წესი 1890 წ., თუ ახლა, როცა კანონები გამოიცა?

თ. ი. ჭავჭავაძე. ვახტანგის კანონები კარგია. ადრე ხალხი ამ კანონებით ხელმძღვანელობდა, საქმე კარგად სწარმოებდა. ახლა კი, ისიც დავიწყებული აქვს ხალხსა და ახალი სავსებით შესუ[illegible] ძალაში; ამიტომ კანონი-კი არა, ძალ-მომრეობა მოქმედობს.

ზ. თათუზოვი. მე ვგონებ, არც მერაბს და არც რჩევას ნება არა აქვს წყლის საკუთრებაზედ რაიმე განაჩენი დასდონ.

ი. ზარაფიშვილი. სარწყავ წყლით სარგებლობაზედ გამოცემული კანონები იხსენიებენ მოხელეებს, რომლებიც მონაწილეთაგან უნდა იყვნენ არჩეულნი. პირველად არჩეულნი იყვნენ წესისამებრ. იმათ ვადა გაუვიდათ. მოწვეულნი იყვნენ მონაწილენი. მეორედ უნდა აერჩიათ, და, რა-კი გამოუცხადეს, რომ ჯამაგირიც მიეცათ ამ მოხელეებისათვის, კრებამ უარი განაცხადა არჩევაზედ. მესამედ შეჰკრიბეს, აარჩიეს და მაინც ჯამაგირზედ უარი სთქვეს. არჩევანიც უცნაური იყო. უმრავლესობამ უარი სთქვა, ე. ი. გაამჟავა და მაინც არჩეულად ჩაითვალნენ. ყველაზედ უწინარეს უნდა შედგენილიყო თვითეულ მონაწილის სარგებლობის უფლების რაოდენობა, დარიგებოდათ მონაწილეებს მოწმობანი, რომლებშიაც ცხადად უნდა ყოფილიყო განსაზღვრული წყლის სარგებლობის რაოდენობა. შემდეგ ამ მოწმობების თანახმად ესარგებლნა ყველასა. არც პირველმა და არც მეორედ არჩეულებმა არ ითავეს ამ მოწმობების შედგენა, არც ბ-ნმა წყალთა ინსპექტორმა, რომლის პირდაპირი მოვალეობაა ამ მოწმობების შედგენა 1890 წ. კანონებით, აიტკივა თავი. ამიტომ არც შეიძლება იყოს დაცული წეს-რიგი. უნდა ვითხოვოთ, 1) რომ კანონები 1890 წ. სავსებით შემოიღონ, მოხელეთ დაედოთ ვალად, რომ უეჭველად პირველიდგანვე შეადგინონ მოწმობანი და დაურიგონ მონაწილეთ. 2) გაწესრიგების დროს მხედველობაში ჰქონდეთ წეს-რიგი ხირსაზედ სარწყავის წყლით სარგებლობისა, რადგანაც ამ სარწყავ წყლით სარგებლობს დიდი რიცხვი მონაწილეთა და არა ყოფილა მაგალითი უკმაყოფილებისა; აგრეთვე უნდა მიიღონ მხედველობაში ის წეს-რიგი სარგებლობისა, რომელიც უკმაყოფილებას არ იწვევს ქართლში; იქაც არის ამისთანა ადგილები.

თავმჯდომარე. დამტკიცდა, რომ უწესრიგობა სუფევს; ამასთან გამოირკვა, რომ გაღმა მხარე მოკლებულია სარწყავ წყალს, თუმცა ძველად უხვად ირწყვებოდა ეს მხარე აბა, მოისმინეთ, რას ამბობს ამის შესახებ მკვლევარი თავ. არღუთინსკით.

წაკითხულიდამ აღმოჩნდა, რომ თამარ მეფის დროს გაყვანილი ყოფილა ალაზნიდამ დიდის არხით წყალი, რომლითაც უსარგებლნია მთელ შიდა კახეთს. დაუდევნელობის გამო არხი ამოშლილა, თუმცა დღესაც ბევრგან ეტყობა კვალი. კრებამ ერთხმად გამოსთქვა სურვილი ამ არხის განახლებისა.

ი. ზარაფიშვილი. კრებამ არ უნდა დაივიწყოს ის სოფლები, რომლებსაც სასმელი წყალიც არ აქვთ. ამისთანა სოფლებია: ალავერდი, ხორხელი, ოჟიო, ჯანაანი, ბიიხო, ახატელი, გულგულა, კოდოთო და სხვ. ამ სოფლებში იძულებულნი არიან ზაფხულში საქონლის ნაყარი წყალი სვან; ამას მოსდევს ათასნაირი ავადმყოფობა, რის გამოც ეს მცხოვრებლები სწყდებიან. ამ მიზეზით სრულიად ამოწყვეტილი სოფლებიც მრავალია. დარწმუნებულნი იქმნებით, რომ ეს სოფლები იმ ადგილას არ გაშენდებოდნენ თუ წყალი არა ჰქონდათ. ასეც არის: ყველგან ყოფილა თიხის მილებით წყალი გაყვანილი, რასაც ამტკიცებენ დღევანდლამდის კარგად შენახული მილები, მაგალ. ათოსის წყარო, საიდამაც მილი შიგ ალავერდის ტაძრის ჩალავანშია შეყვანილი. სხვაგან ვპოულობთ თიხის მილებს, თუმცა იქ წყალი აღარ მოდის ახლა, მაგრამ ცხადად ჰმოწმობენ, რომ ოდესმე წყალს უდენია რომელისამე სოფლისათვის. ყველა სოფლის ასწვრივ გომბორის მთიდამ გამოყვანილი ყოფილა მილებით წყალი. დღეს ის ადგილები, საიდამაც წყალი ყოფილა წამოყვანილი ეკუთვნით ან ხაზინას, ან კიდევ სხვა მემამულეთ. უნდა ვითხოვოთ, რომ სოფლებს დაუბრკოლებლივ ნება დართონ წყლის გამოყვანისა და მთავრობამ მცოდნე კაციც დაახმაროს თარაზოს გამოსაკვლევად და მუშაობის ზედამხედველად.

კრებამ გადასწყვიტა ვითხოვოთ: 1) რომ კანონები სარწყავ წლისა 1890 წ. 3 დეკემბერს და 1902 წ. 20 მაისს გამოცემული სავსებით შემოღებულ იქმნას; 2) რომ სოფლებს, რომლებსაც სასმელი წყალი არა აქვთ, ნება მიეცეთ წყლის გამოყვანისა სახელმწიფო და საბატონო ადგილებიდამ და მთავრობა დაეხმაროს ტეხნიკებით; 3) რომ თამარ დედოფლის რუ აღდგენილ იქმნას, რისთვისაც მიწის მუშაობას იკისრებს მცხოვრებნი.

ნადიკვრელი.

(შემდეგი იქნება)

კავკასია

ნოვო-ურუხი (კავკავის მაზრა). ნოვოურუხის სამრევლოში, გარდა ქრისტიან ოსებისა, სცხოვრობენ ქრისტიანობიდგან მაჰმადიანობისადმი მიქცეულნი ოსნიც. ეს მიქცეულნი ოსნი ისე გატაცებულნი არიან ფანატიკობით, რომ მართლ-მადიდებელ ეკკლესიას ზიზღით უყურებენ. ნოვო-ურუხის ეკკლესია ხისა არის და შიგნით და გარედ ბათქაში აქვს. შესავალ კარებზედ ეკკლესიას ხისავე სამრეკლო აქვს მიდგმული.

24-ს წარსულ გიორგობისთვეს, საღამოთი ბოროტ-მომქმედნი ასულიყვნენ მაღლა სამრეკლოზედ, მაღლიდან სამრეკლოს ბოძს და ეკკლესიის კედელს შუა ჩამოესხათ ნავთი და ზევიდგან და ქვევიდგანაც ცეცხლი მიეცათ. ერთბაშათ იფეთქა ცეცხლმა. საბედნიეროდ, ხალხს ისევ ელვიძა და მალე შენიშნეს ეს ამბავი. სოფელი—დიდიან - პატარიანათ დაეხვია ეკკლესიას და ცეცხლი მალე ჩააქრეს. სოფელი ყველა ერთხმად გაიძახის ეკკლესიას ცეცხლი ან მაჰმადიანთ წაუკიდეს და ან ქრისტიანობიდგან გადამდგარ-მიქცეულ ოსებმაო. თანვე დასძენენ ოსები: „ეკკლესიის გატეხვა - გაქურდვა-კი გაგვიგონა, მაგრამ, ცეცხლის წაკიდება-კი ჯერ არაო.

საღ. ყაზბეგი. (საქართველოს სამხედრო გზა). ამ ჟამად საქართველოს სამხედრო გზა, გაოხრებულის დარბაზს მოაგონებს კაცს. ბევრგან სახიფათო-საშიშ ალაგს გზას მოაჯირები აღარ აქვთ და თუდა სადმე აქვს, ისიც დანგრეულები. გიორგობისთვის მიწურულებში ყაზბეგის სადგურიდგან გაემგზავრა ეტლი კავკავისკენ. ერთ ალაგას ვიწრო მოსახვევში, ქვევიდგან და ზევიდგან მომავალნი ეტლნი, ერთმანეთს შეხვდნენ. ყაზბეგიდგან მიმავალი ეტლის ნაპირის ცხენი შეფთხა და გადავარდა თვალ ჩაუწვდენელ კლდეზედ. კლდეში გადავარდნილი ცხენი; გადაეკიდა. ეტლში მსხდომთ შეჰქნეს საშინელი წივილ-კივილი. საბედნიეროდ, ზევით დარჩომილი ცხენები არ შეფთხნენ, თორემ ეტლში მსხდომთ თავსაც უბედურება მოსალოდნელი იყო. ამ ეტლზედ მყოფ კონდუქტორმა, ბ-ნმა ძღენტმა, ნახ-რა საქმე ცუდათ არისო, თავგანწირვით ჩაეშვა კლდეში, დაუსვა ხანჯალი ჩაკიდებულ ცხენის თოკებს და თასმებსა და წავიდა რახრახით საბრალო ცხენი თვალჩაუწვდენელ კლდეში; ეტლში მსხდომნი-კი, ღვთის განგებით გადარჩნენ.

20-ს გიორგობისთვეს ლარსში დაატუსაღეს ორი ლეკი და სამი ჩაჩანი, რომელნიც ცხენებით მოდიოდნენ ტფილისიდგან. ამ ვაჟბატონებს, როცა გაუშინჯეს ხურჯინები, აღმოუჩნდათ რევოლვერი და სხვა-და-სხვა ოქრო ვერცხლის ნივთები, აგრეთვე ჩოხების ქვეშ დამალული ხანჯლები. დატუსაღებულნი გაგზავნეს კავკავს.

რვას ამ თვეს, ღამე, საქართველოს სამხედრო გზაზედ დიდი თოვლი მოვიდა, გუდაურიდან ლარსის სადგურამდე გზა შეკრულია და ეტლების მიმოსვლა შეწყვეტილია.

ქართველი ოსებში.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი

სახალხო თეატრი. შაბათს, 14 დეკემბერს, ავჭალის ქუჩის სახალხო თეატრში, სცენის მოყვარულებმა წარმოადგინეს „უბედური“, დრამა 3 მოქმედებად პან-მაზაზისა, თარგ. ვ. გუნიასი. სამწუხაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ, რამდენადაც ეს პიესა შინაარსიანი და ჩვენი დროის შესაფერი იყო, იმდენად სცენის მოყვარულებმა იგი ცუდად წარმოადგინეს. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ქართული თეატრის არტისტებიც: ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, რომელიც მეტად კარგი იყო ლუკრეციას როლში, და ვალ. გუნია, რომელიც ასრულებდა მარციალის როლს. მარციალი არის გულახდილი, პირდაპირი კაცი და ზიზღსა და მტრობას უცხადებს ყოველგვარ უსამართლობას, ძალმომრეობას და იმ კანონს, რომელიც დამცველია ამა ქვეყნის დიდებულთა ინტერესებისა და დამთრგუნველია ჩაგრულებისა და მართლებისა. ბ-ნმა გუნიამ ამ მხრივ კარგა დაგვიხატა მარციალი, მხოლოდ მან ვერ გვაჩვენა მარციალის მეორე თვისება. და ეს თვისება არის—აღტაცება მარციალისა ლაპარაკის დროს. ბ-ნმა გუნიამ უფრო ვერ დაგვაკმაყოფილა იმ ადგილს, სადაც მარციალი ფლიდს, საზიზღარს, სამართლიანობის დამგმობელს მსაჯულს ეუბნება: რადგან თქვენი კანონი ჩაგრულთა შემხუთველი და მიწასთან გამასწორებელი ყოფილა, ამიტომ მე არ ვემორჩილები თქვენს კანონს, მე ვაუქმებ იმას ჩემის ძალმომრეობით. ყოველს ჩემს ძალასა და ღონეს მოვანდომებ ბრძოლას წინააღმდეგ იმ თქვენგან შემოღებულ კანონისა, რომელიც მხოლოდ მდიდრებს, საზიზღრებს ექომაგება, ხოლო დავრდომილებს-კი სთელავსო. როცა ამ სიტყვებს ამბობს მარციალი, თითქმის თავდავიწყებაში ვარდება: მას თვალ-წინ წარმოუდგება—ერთის მხრივ მტარვალობა და უსამართლობა, რომელიც მრავლად სდგას და მეორეს მხრივ სამართლიანობა და დაჩაგრულობა, რომელიც მზად არის თავის და უნებურად თავი მოიხაროს უსამართლოს წინაშე. კეთილ და პატიოსან კაცს ამ დროს არ შეუძლია არ გამოთანთხიოს თავისი ზიზღი უსამართლობისადმი და სრულს აღელვებას არ მიეცეს. ასევე მოსდის მარციალს, რაც ბ-ნმა გუნიამ არ გვაჩვენა.. საზოგადოდ, არტისტს აკლდა სიცოცხლე, რაც მარციალის უმთავრესს თვისებას შეადგენს. ეს საღამო ტრიუმფის დღედ უნდა ჩაითვალოს პიეტრა-მათხოვარი ქალის როლის აღმსრულებლისათვის—ქალ. რომანიშვილისთვის. მეტის დაკვირვებით და ზედმიწევნით დაგვიხატა გათახსირებული, ცხოვრებისგან გადათელილი პიეტრა. ყოველი მისი ნაბიჯი აწონილი და ზომიერი იყო და ამიტომაც მან სცენაზე გამოსვლისათანავე სიბრალული გამოიწვია მაყურებლებისა, რომლებიც ყოველ მისს ლაპარაკის დროს ხშირად ამობდნენ: „საწყალი ქალიო.“

ქ-ნმა რიონელმა ანჟელიკას როლში კარგა დაასურათა ის ადგილები, სადაც იგი დაბლა და მშვიდად ლაპარაკობდა..

სანჩოს როლის აღმსრულებელი ნიკო გოცირიძე—ეს გვირგვინი სახალხო თეატრისა და საყვარელი არტისტი მდაბიო ხალხისა, ამ საღამოს ჩვეულებრივ კარგი არ იყო, რაც აიხსნება იმით, რომ რადაც მიზეზით მისთვის მეტათ ფლიდი, ორპირი, გაიძვერა, ზნეობით განხრწნილი და ამასთანავე სასმთდ მოსერხებულის და ცოცხალის სანჩოს როლი.. სანჩოს მაგივრად ჩვენ წინ სცენაზე იდგა ევროპიულად გამოწყობილი კარპეტა, რომელსაც სანჩოსი მას არა ჰქონდა რა, გარდა იმისა, რომ რომ მის სიტყვებს ამბობდა. ს. გოცირიძე აქ გასამტყუნარი, მგონია, არაფერშია. იმისი რა ბრალია, რომ უყვარს თეატრი, ემსახურება მას და მისს თეატრისადმი სიყვარულით და ერთგულობით სარგებლობენ და იმისთანა როლებს აძლევენ, რომელიც მისთვის შესაფერისი არ არის?! ამ განმარტების შემდეგ ცხადია, რომ ჩვენ ვაფასებთ ნ. გოცირიძის ნიჭს, მხოლოდ მწუხარებას ვაცხადებთ, რომ ამ მსახიობს შეუფერებელ როლებს ათამაშებენ.

ჭერვექტოს როლის ამსრულებელი დ. სხირტლაძე სუსტი იყო. ეს სცენის მოყვარული წინადადების უკანასკნელი სიტყვის უკანასკნელ მარცვალს სიმღერით გაათავებს ხოლმე.. საზოგადოდ, ნაადრევია მის მიერ თამაშობა იმ გვარ როლების, როგორისაც ამ საღამოს თამაშობდა.

მსაჯულის როლს გ. ბედიკურაშვილი ასრულებდა, მაგრამ მან სრულიად არ დაგვანახვა მსაჯულის არსება. ამასთანავე ეტყობოდა როლის უცოდინარობაც.

მსახურის როლის ამსრულებელი მ. ქარგია (აფიშაში ასე ეწერა) კარგა ასრულებდა თავისს როლს, თუ კარგ ასრულებას დავუძახებთ იმას, რომ ლუკრეციას ჯერ ზარი არ დაურეკია მისთვის, ის-კი წინადვე შემორბის და ცოდვილივით კარებში აიტუზება.

წარმოდგენა გვიან დაიწყო: $8^1/_2$ საათზედ, თუმცა გამოცხადებული $7^1/_2$ ს. იყო.

ამავე პიესას სცენის მოყვარულნი გაიმეორებენ რკინის გზის სახელოსნოების თეატრში.

ა—ნა.

სასამართლო

(კვახაძის საქმე)

გუშინ-წინ, 17-ს დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩა საქმე ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის მოწაფედ ნამყოფის დომენტი როსტომის ძის კვახაძისა. საქმის გარემოება, როგორც საბრალმდებლო ოქმიდგან სჩანს, შემდეგია: 16 მაისს, 1902 წ. ბათუმის გიმნაზიის მესამე კლასში ფრანგულის ენის გაკვეთილის დროს ამავ კლასის მოსწავლე დომენტი კვახაძე მივიდა კათედრასთან, სადაც მასწავლებელი ქალი ევგ. ალექ. ასული არნოლდი იჯდა და მრისხანე ხმით უთხრა: ამიხსენი, რისთვის მომეცი განმეორებითი ეგზამენიო. არნოლდიმ უპასუხა: ცუდად სწავლობდი და იმიტომაო. ამასთანავე არნოლდიმ უბრძანა შეგირდს: შენს ალაგას დაჯექიო. კვახაძემ უპასუხა: არ დავჯდებიო და მართლაც დადგა უძრავად იმავ ადგილას და უბეში ხელი ჩაიყო. ამ დროს მოსწავლემ ბერძნიშვილმა არნოლდის დაუძახა: „უფრთხილდით, კვახაძე მოგკლავთ“. არნოლდიმ ყურადღება არ მიაქცია ბერძნიშვილის ნათქვამს და პირიქით კიდეც გაუჯავრდა და უთხრა: შენ იცოდე, რომ ყოფა-ქცევაში ერთს დაგისვამო. ბერძნიშვილი არ გაჩერდა და კიდევ დაუძახა არნოლდის: „გაფრთხილდით“. შემდეგ არნოლდი კათედრიდგან ჩამოვიდა და სიარული დაიწყო კლასში. ბოლოს დაჯდა მოსწავლეთა სკამზედ.

ამ დროს კვახაძეს მეგობარი მეოთხე კლასის მოსწავლე ისაკ კვაჭაძე თავისს კლასში არ იყო: ის იმალებოდა გიმნაზიის ერთ-ერთ ოთახში. კვაჭაძეს მოსწავლეებმა უთხრეს: კვახაძე არნოლდს ეჩხუბებაო როდესაც ეს გაიგონა, მაშინვე გამოიქცა ოთახიდან; მივარდა კარებში მდგარ კაცს, ჰკრა ხელი და გავარდა ქუჩაში. მივიდა მესამე კლასის ფანჯარასთან, ყური დაუგდო კვახაძეს ლაპარაკს და, რა დაინახა, კვახაძე ერთს ადგილს იდგა, დაუძახა ქართულად; „დროა, რაღას უცდი“! კვახაძემ გაუცინა კვაჭაძეს და ამნაირისავე ღიმილით გადაჰხედა არნოლდის და კიდეც მივარდა. მარცხენა ხელის შემოკვრით კვახაძემ ძირს დასცა არნოლდი, მეორე ხელით-კი ბებუთი ჩასცა ორჯელ, ერთხელ მუცელში, მეორედ—ფერდში. არნოლდი წამოხტა და გაიქცა. უკან გამოეკიდა კვახაძეც და ერთხელ კიდევ მოუქნია ბებუთი: უნდოდა ზურგში ჩაეცა, მაგრამ აუცდა. ამ დროს მივარდა ქიქილეიშვილი და ხელები დაუჭირა. შეიქნა ერთი ყვირილი და ხმაურობა. მოცვივდნენ მასწავლებლები და ნახეს ძირს დაცემული ქალი. კვახაძემ ისკუპა და ფანჯრიდგან ქუჩაში გადახტა. აქ მოსწავლე დეისაძემ დანა წაართვა. ჩქარა კვახაძე შემოვიდა გიმნაზიის ეზოში და ისე დაიწყო სიარული, თითქოს იქ არაფერი მომხდარიყოს. მიკარებას ვერავინ ბედავდა. ამ დროს მივიდა კვაჭაძე და ხელი გადაჰხვია. ორნივე გავიდნენ ქუჩაში, დაიჭირეს ფაიტონი და სასეირნოდ წავიდნენ.

კვახაძე მხოლოდ მეორე დღეს დაიჭირეს. მან სთქვა: გუშინ ძლივს ავისრულე გულის წადილიო. 15 მაისს ნამდვილად გადავწყვიტე მისი მოკვლა; ღამე მივედი სასწავლებელში და ყურს ვუგდებდი მასწავლებელთა ლაპარაკს, რომლებიც მოსწავლეების ნიშნებზე ლაპარაკობდნენ. ჩემზე ამ საღამოს ცუდად ილაპარაკა არნოლდიმ და გადავწყვიტე მომეკლაო.

ბოქაულმა ჰკითხა: დანა რა უყავ, როდესაც არნოლდი მოჰკალიო. მან უპასუხა: ბაღში დავაგდეო.

ამ საქმის გამო სასამართლოს წინაშე პასუხის გებაში მიცემულ იქმნა როგორც კვახაძე, აგრეთვე კვაჭაძე. კვახაძემ აქ განაცხადა: მე წინად განზრახული არა მქონია ქალის მოკვლა. მე მხოლოდ უცებ გავბრაზდი და აღარ მახსოვს, რა ვქენიო. დანა შემთხვევით მქონდა თანა, რადგან წინა დღით სხვაგან წავიღე და უბეშივე ჩამრჩაო.

ოლქის სასამართლომ კვაჭაძე სრულიად გაამართლა, ხოლო კვახაძე დამნაშავედ იცნო წინად განზრახული მიზნით არნოლდის მოკვლაში და ყოველ უფლებათა ჩამორთმევით, გადაუწყვიტა 10 წლით კატორგა. კვახაძე არ დასთანხმდა ამ განაჩენს და საქმე გაასაჩივრა ტფილისის სამოსამართლო პალატაში. პალატას სთხოვდა: რადგან გულ-მოსულობის დროს მოვკალი არნოლდი და არა წინად განზრახულებით, ამიტომ სასჯელი შემიმსუბუქეთო.

პალატაში კვახაძეს იცავდა ნაფ. ვექილი შევალიე. ბრალსა სდებდა ოლქის სასამართლოს ბრალდებულის ამხანაგი გლაგოლევი, რომელმაც სთქვა: კვახაძეს წინადვე ჰქონია გულში არნოლდის მოკვლა. მან შესწყვიტა ლაპარაკი მასწავლებელთან, იდგა ერთს ალაგს და შემდეგ მივარდა. ამ დროს განმავლობაში შეეძლო კარგად ეფიქრა და ასეთი საქმე არ ჩაედინა. ამიტომ პალატას ვსთხოვ, დაამტკიცოს ოლქის სასამართლოს განაჩენიო.

ბრალდებულის დამცველმა შევალიემ სთქვა: ისეთი მძიმე საქმეა ეს საქმე, რომ პალატამ ყოველი წვრილმანი უნდა აწონოს და საქმის გამოსარკვევად მოიხმაროს. როგორი ყმაწვილი იყო კვახაძე? აი პირველი საკითხი, რომელზედაც ყველა მასწავლებლები და შეგირდები ერთხმად ამბობენ: კვახაძე იყო ჩუმი, გაუბედავი, მშვიდობიანი ყმაწვილი. თავის დღეში სიტყვას არ შეუბრუნებდა უფროსსაო. იყო სრული განხორციელება სიდინჯისა და მშვიდობიანობისა. აქედგან ნათლად სჩანს, რომ დიდი მიზეზები იყო საჭირო, რათა ეს მშვიდი ყმაწვილი მოთმინებიდან გამოსულიყო და არნოლდი მოეკლა. მართალია, იცოდა, არნოლდი განმეორებით ეგზამენს მისცემდა, მაგრამ კარგად გაიგონა იმავ ღამეს დირექტორის სიტყვებიც; ისიც ცუდად ლაპარაკობდა მის სწავლაზე. რაც მას მოუვიდოდა, კარგი თუ ავი, ამაში მონაწილეობა ჰქონდა რამდენათაც არნოლდს, იმდენად დირექტორსაც. დირექტორი არ მოჰკლა, არნოლდი-კი მოჰკლა. რათ? იმიტომ, რომ არნოლდი შეხვდა პირველად, მან დაიწყო ამაყად ლაპარაკი, გამოიყვანა მოთმინებიდან. კვახაძე ამ დროს არა ნორმალურ მდგომარეობაში იყო. იმისი ღიმილი ცხადად ამტკიცებს, რომ ან მოკვლა განზრახული სულ არ ჰქონია, ან არა და ნორმალურ მდგომარეობაში არ ყოფილა იმ დროს, თორემ სად გაგონილა, კაცს, მერე როგორ კაცს, 17 წლის ბავშვს, გიმნაზიის მოსწავლეს, მოკვლა ჰქონდეს განზრახული და იღიმებოდეს? არა ნორმალური მისი მდგომარეობა გამოიწვია არა ნორმალურმა მოვლენამ და მოჰკლა ადამიანი. თვითონაც არ იცოდა, რას შვრებოდა... ყველაფერი გათავდა. მკვდარია არნოლდი... კვახაძე დადის მშვიდად ეზოში... არაფერი აწუხებს... მხედველობაში არა აქვს, რომ ის შეგირდია და შეუძლიანთ მისი გამოგდება სასწავლებლიდგან. კვახაძის წინ ამართულია ციხე, კატორგა, მთელის თავისისი საშინელებით და ის-კი არხეინად დასეირნობს. ასეთ ნაირად ნორმალურ მდგომარეობაში მყოფი მოიქცევა? ოლქის სასამართლოს მხედველობაში მიუღია მისი პირველი ჩვენება, მაგრამ რად? საიდგან იყო სარწმუნო მისი ჩვენება, როდესაც მან ისიც არ იცოდა, რას ამბობდა? თუ ეს დაუჯერეს, რატომ ის-კი არ დაუჯერეს, რომ განაცხადა: დანა ბაღში გადავაგდეო, მაშინ როდესაც დანა მოსწავლემ წაართვა? ყველა ამ მოსაზრების გამო გთხოვთ შეუმციროთ დანაშაული, რადგან გულ-მოსულობისა და არა ნორმალურ მდგომარეობაში ყოფნის დროს მოუკლავს არნოლდი.

პალატამ ერთის საათის შემდეგ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება.

---

*) იხ. „ივერია“ 269.

წერილები რედაქციის მიმართ.

გაბრიელ ეპისკოპოზის ბიოგრაფიის შედგენაზე.

ჩვენ, ქართველებს ერთი ცუდი ხასიათი გვჭირს: სანამ ცოცხალი გვყავს რომელიმე საზოგადო მოღვაწე, ან სამარეს ვუთხრით, ან ხელს ვუშლით და გზაზედ ველობებით, ან და, თუმცა პატივს ვსცემთ და, ასე თუ ისე, ვაფასებთ მისს მოღვაწეობასა და შრომას, ეს პატივისცემა, მის სიკვდილის შემდეგ, სრულიად ჰქრება და დავიწყებას ეძლევა. მივაცილებთ კაცს საფლავამდის, მივაბარებთ ცივს სამარეს და მორჩა! არც ბიოგრაფიის შედგენა, არც მის თხუზულებათა მეცნიერულად შესწავლა და გამოცემა, არც მოღვაწეობის აღწერა! ასე მოვექეცით გაბრიელ ეპისკოპოზსაც.— მნათობი ერისა, ქება და დიდება მამულისა, ჯერ უდროვოდ დავაბერეთ, მოვუსწრაფეთ სიცოცხლე და მერე, რაკი დავასაფლავეთ, ყოველივე მივივიწყეთ. ითქვა ორიოდე სიტყვაც, მაგრამ განა ორი-სამი სიტყვა გამოარკვევს მისს დაუღალავს მოღვაწეობას? მერე, რამდენი საგულისხმო-რამ არ უთქვია მას თავისს სამწყსოში? რამდენი რამ კარგია მიი შესახებ დარჩენილი ხალხში და ახსოვთ მოხუცებულთ და მოსწრებულთ, მასთან დაახლოვებულთ- მიკვდებიან ეს თანამედროვენიც და, მათთან ერთად, გაქრება ის ცნობებიც, რომელიც მათ დაუხსოვნიათ ყ-დ სამღვდელო გაბრიელის შესახებ. ვილა გვეტყვის, თუ რა წარმოუთქვამს საგულისხმიერო პურის ჭამაში, ეკკლესიაში, გზაში, თავის სენაკშა, სტუმრიანობისას, მეგობართან, ნათესავთან; გულ-მოსულს, მხიარულს?

ამისათვის, განვიზრახეთ პატივსაცემლად მის ხსენებისა, შევუდგეთ ვრცელს გამოკვლევას მის ცხოვრებისა მოღვაწეობისა და ნაწერებისა.

გამოკვლევას თან უნდა დაემატოს ყველა მისი, ჯერეთ გამოუქვეყნებელი, საგულისხმიერო განკარგულებანი და ნაწერები, ხალხში დარჩენილი ანეკდოტები და სხვა-და-სხვა ამბები

ეს მასალა ჯერ სრულად არა გვაქვს ხელში, ამიტომ მივმართავთ ყველა შეგნებულს პირს, დაახლოვებულს გაბრიელთან, მენახსოვრეს, თანამედროვეს და ვთხოვთ, ვისაც მისი სახელი უყვარს, მოგვაწოდოს, თუ რამე ან ნაწერი აქვთ გაბრიელისა, ან თუ რამ გაუგონიათ მისგან პირადად და სხვებისაგან მაზედ.

საჭიროა ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი იყო განსვენებული პურის ჭამაში, ცხენზე, მგზავრობაში, ქვეითობაში, მხიარული, გაჯავრებული, მთხოვნელებთან, მოსამსახურესთან, მთავრობასთან ლოცვის დროს, ქადაგებისა, თხზულების წერისა, საქადაგებლად მომზადებისა, წირვისა, ნაწირევებისა; რა უყვარდა, რა სძულდა, რა ცუდი ხასიათი ჰქონდა, რა კარგი თვისება, ვინ უყვარდა, ვის სძულდა, ვის ენდობოდა, რა აზრის იყო შესახებ ქალისა, კაცისა, შეგირდისა, სწავლისა, რუსისა, ქართველისა, გლეხისა, აზნაურისა, სამღვდელოისა, ლოცვისა, შრომისა.

საჭიროა ცნობა იმის შესახებაც, თუ როგორი იყო განსვენებული ბავშვობაში, დედ მამასთან, ნათესავებთან, სკოლაში, ცოლშვილში, მასწავლებლობაში.

იმედია, ყველა პატივს სცემს განსვენებულს და მეც საშუალებას მომცემს, სამსახური გავუწიო გაბრიელის ხსენებას შეძლებისა და გვარად. მასალები უნდა გვიბოძონ წერილობით და ნამდვილი წყაროებიდან ამოღებული.

განზრახული გვაქვს გამოვცეთ 1) გამოკვლევა განსვენებულის სურათით და ფაქსიმილეთი 2) ყველა ნაწერები—ცნობილი და უცნობი, 3) შესანიშნავი განკარგულებანი, პასუხი სხვა-და-სხვა პირებთან და რეზოლიუციები და 4) ხალხში დაცული თქმულებანი მაზედ.

ამასთანავე საჭიროდ ვრაცხთ აღვნიშნოთ, რომ თვით თქმულების გამოქვეყნება და მისი დაჩქარება იქნება პირდაპირ დამოკიდებული მასალის შეკრებაზედ თუ საზოგადოებამ არ თანაგვიგრნო და მასალა არ მოგვაწოდა და მით არ შეივსო არხივებიდგან ამოკრეფილი ცნობები, გამოკვლევაც არ იქნება სრული და არც მისი გამოქვეყნება იქნება ისე სასურველი და საინტერესო, როგორც პირველს შემთხვევაში. ჩვენ ამასთანავე არა გვაქვს სახეში ჩვენი შრომით საზოგადოება გავაკვირვოთ, არამედ, შეძლებისამებრ, ვიშრომოთ ამ კეთილის საქმისათვის და ჩვენი წვლილი მივაწოდოთ საზოგადოებას და მით პატივი ვსცეთ ჩვენს განსვენებულს სულმნათს, ბრწყინვალე ეპისკოპოსის ხსენებას.

ვსთხოვ სხვა ქართულს რედაქციებსაც, გადაბეჭდონ ჩვენი განცხადება და მით დიდად დაგვავალონ.

ადრესი: ქუთაისს. მღვდ. მელიტონ კელენჯერიძეს.

მღ. მელიტონ კელენჯერიძე.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

17 დეკემბერი

პეტერბურგი. „კანონდებულებათა კრებულში“ დაბეჭდილია ბრძანება, შესახებ დიდის მთავრის პავლე ალექსანდრეს ძის კარის გაუქმებისა და მის უმაღლესობის საქმის გამგის თანამდებობის დაწესებისა.

სტამბოლი. სულთანის ირადეთი დამტკიცდა კომისია სტამბოლის გასამშვენიერებლად და გასასუფთავებლად.

ვენა. ლამზდორფი მოვა საღამოს 7 ს. და 20 წ.. დაუხვდებიან რკინის გზის სადგურზე გრაფი კაპნისტი და რუსის საელჩოს წევრნი. ხვალ რუსის საელჩოში საუზმე გაიმართება; 2 საათზე—დარბაზობა იმპერატორთან; 6 ს.—სადილი გაფბურგს; ოთხშაბათს—საუზმე უცხო საქმეთა მინისტრისას და საღამოს—სადილი ერცჰერცოგ ფრანც-ფერდინანდისას. დაბრუნება დანიშნულია ოთხშაბათს.

სოფია. ლამზდორფმა გამოსთქვა, მაკედონიის უწესოებანი და ბოლგარიის ბრბოთა მოქმედება რუსეთს ხელს უშლის იმოქმედოს მაკედონელთა სასარგებლოდ. ლამზდორფმა არ იკისრა გამოეცხადებინა ეს საჯაროდ. გრაფის მდივანმა მწერლობის წარმომადგენელთ განუცხადა, მინისტრი მეტად კმაყოფილია სერბიის მისსიით და იმედი აქვს შთაბეჭდილებითვე გამოეთხოვოს ბოლგარიას. 14 დეკემბერს, $5^1/_2$ ს. დღისა, ლამზდორფი ვენას წავიდა. მთელს გზაზედ ადტაცებულად უხვდებოდნენ. მთავარმა ამალით, მინისტრებმა და რუსეთის საელჩოს მოსამსახურეთ გააცილეს გრაფი ცარიბროდამდე. ლამზდორფის სასახლეში ყოფნის დროს გაიმართა სადილი, რომელზედაც მოწვეულ იყვნენ საპოლიტიკო მოღვაწენი. საბჭოს პრეზიდენტმა გამართა საუზმე, რომელსაც დაესწრო სადიპლომატიო კორპუსი.

ვენა. ლამზდორფი მოვიდა 16 დეკემბერს. გრაფ კაპნისტთან ერთად იგი წავიდა სასტუმრო „ოტელ ზახერ“-ს. $9^1/_2$ს. საღამოს კაპნისტი მივიდა ლამზდორფთან და დიდხანს ბჭობდა.

ბელგრადი. ოფიციალურ გაზეთის უწყებით, 12 დეკემბერს ლ.მზდორფმა მეფეს გადასცა ხელმწიფე იმპერატორის მოკითხვა სამეფო ცოლქმარს და სერბიას. მეფე ალექსანდრემ მადლობით მიიღო მოკითხვა და უპასუხა, რომ იგი დაკმაყოფილებული გრძნობით გრაფის მისიაშა ხედავს საბუთს ტრადიციულ მეგობრულ კავშირისას, რომელიც არსებობს სერბებსა და რუსის ერს შორის. ლამზდორფი მიიღო დედოფალმა.

სოფია. „ნოვი დნევნიკ“-ის ცნობით, გრაფმა უთხრა მაკედონელთა დეპუტაციას, არა სასტიკის ზომებით, არამედ სამშვიდობო რეფორმებით გადაწყდება მაკედონიის საქმე.—გენერალი ცონჩევი გაასამართლეს დრენოვს და რვა დღით დატუსაღება გადაუწყვიტეს.

კანნი. მოვიდა საბერძნეთის მემკვიდრე მეუღლითურთ.

სტამბოლი. ინსპექტორის კილმი—ფაშის უწყებით 29 ნოემბერს (9 დეკემბერს), ევროპიის ოსმალეთში შეიპყრეს 64 ავაზაკი. დაეძებენ 177 დამნაშავეს, მათ შორის 23 ქრისტიანია.

მადრიდი. კერძო დეპეშით, მაროკკოს სულთანი სცდილობდა გასცლოდა ფეცს, მაგრამ უკუაბრუნეს. მალაგას, ალგეზირას დგას 4,000 ქვეითი და ორი ცხენოსანი რაზმი. ფეცს გარს შემორტყმიან მეამბოხენი

ვაშინგტონი. რუზველტს ფარიკაობის დროს მცირედ დაეშრა მარჯვენა თვალის ძირი.

მადრიდი. ლაშქრის ოფიცრებს, ვადით დათხოვნილებს, ებრძანათ, დაბრუნდნენ სამსახურში. მთავრობამ აუწყა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ისპანიის ელჩისაგან მაროკკოდგან მიღებული ცნობა.

18 დეკემბერი

მოსკოვი. დაიწყო ხირურგთა კონგრესი.

ასხაბადი. სადგური შეუდგა საქონლის ოპერაციებს; 17 დეკემბერს დაიწყეს საქონლის გამოტანა. რკინის გზის აგენტები და მოხელენი ანგარიშობენ მიწისძვრისაგან ზარალს.

დრეზდენი. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ მეფემ სამედიატორო სამართალი დანიშნა კრონპრინცესის მიერ ცოლ-ქმრულის მოვალეობის დარღვევის გასარჩევად.

გვატემალა. საფრანგეთი და გვატემალა დასთანხმდა ჰააგის სამედიატორო სამართალმა გაარჩიოს ერთი ფრანგის პრეტენზიები, რომელიც 1896—1897 წწ. გვატემალაში სხვა-და-სხვა სამუშაოს ასრულებდა.

პარიჟი. მინისტრთა საბჭოს დელკასემ აცნობა, რომ აქამდის მაროკკოში მყოფს ფრანგებს არაფერი საშიში არ მოელის და არა ავიწროებსრაო.

მიუნხენი. პრინცმა რეგენტმა მიიღო რუსეთის ელჩი ველსმანი, რომელმაც წარუდგინა ნდობის დრამოტა.

ბუდაპეშტი. მოხდა თათბირი მინისტრებისა იმპერატორის თავმჯდომარეობით. დღეს ჰქონდათ თათბირი სელლს, კერბერს და ბემ-დე-ბავერკს; მაგრამ უშედეგოდ. ლუგახი წავიდა ბუდაპეშტიდგან. სელლი დაესწრო გრაფ ლამზდორფისათვის გამართულს სადილს.

ტანჟერი. როგორც ისმის, პრეტენდენტი ფეციდგან 20 მილის მანძილზედ სდგას, რომელთანაც მიმოსვლა შეწყვეტილია.

მადრიდი. ფეცაში სულთანის წინააღმდეგ ამბოხება ძლიერდება. მეამბოხეებმა გადუგდეს წყალი ფეცს, რომელიც უნდა დანებდეს ამ სამს დღეში, თუ კაბილები არ მიეშველნენ.

მადრიდი. ინგლისი და საფრანგეთი არწმუნებენ ისპანიას, რომ მათ არა სურთ მაროკკოს საკითხი აჩქარებით გადაწყდესო და სურთ დაიცვან status quo. მადრიდში იმ აზრის არიან, რომ მაროკკოს საქმეები ერთა შორის ურთიერთობას არ გაამწვავებსო.

პეტერბურგის ბირჟა, 17 დეკემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,, ...	37.65
ბირჟის დისკონტი	$5—6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$97^5/_8$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$99^1/_2$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. . . . მამულო ბანკისა .	$94^1/_2$ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	478 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	373 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	$308^1/_4$ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	— $89^1/_2$ გაყ.
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	$82^1/_2$ წვ. გაყ.
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	500 წვ. გაყ.
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	205 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპანამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ,).

განცხადება

"GRAND PRIX"
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К°

Парфюмерія
„Царскій Верескъ“

ამერიკულ ვაზის
აფხანაურის სანერგე მიხრან ალექსანდრეს ძის ანანოვისა

(რკინის გზის რიონის სადგურის მახლობლად).

იყიდება ამერიკულ ვაზზედ ერთის წლის დამყნილი ადგილობრივ და ფრანგულ ჯიშის ვაზები, 1000 ცალი 100 მან.

ამერიკულ ვაზის რქა დასამყნობად:

Rupestris Monticola 1000 მეტრი .	15 „
Riparia gloire de Montpellier . .	10 „
Berlandieri კირნარევ ნიადაგისათვის.	30 „

ამერიკული რქა დასარგავად:

Rupestris Monticola 1000 მეტრი .	5 „
Riparia gloire de Montpellier . .	3 »
Berlandieri	15 „

მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს ნერგები მომავალ 1903—904 წლ. სეზონისათვის.

ადრესი: Ст. Ріонъ, Михрану Ананову.

(10—471—9)

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ახალი წიგნი

საქართველო
მეთორმეტე საუკუნეში

დ. კარიჭაშვილის მიერ სურათებით. ფასი 40 კაპ. (10—6.—5)

სწერა-კითხვის საზოგადოების წიგნი მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, ეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა .	მ. კ. 1 „
გულურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„ 30

საბუჰგალტერო კლასები
დაარს. ი. ი. ბრონ-ფონ ბრენნერის მიერ.

საბუჰგალტერო კლასებს აზრათა აქვს მისცეს მსურველთ, შედარებით მოკლე დროს განმავლობაში, საკომერციო განათლება, პრაქტიკულისა და თეორიულის მეცადინეობის შემწეობით მოამზადის **ბუჰგალტრები, კორესპონდენტები, კანტორშჩიკები** და საზოგადოდ მოხელენი სავაჭრო საქმეებისა. კურს დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები.** ხოლო საუკეთე შეგირდებს ეძლევათ **ადგილი** სამსახურში.

სასწავლებელში მიიღებიან **ორივავე სქესისანი,** 15 წლისაზე არა ნაკლებნი. სულ ორი განყოფილებაა: მე 2-ში მიიღებიან ვინც წარმოადგენს საქალაქო სასწავლებელში ან პროგიმნაზიაში კურსის დამთარების მოწმობას, ხოლო პირველში—უმოწმობონი. სწავლა თითოეულ განყოფილებაში 5 თვეს სწარმოებს, საღამოობით—5—9 საათამდე.

ისწავლება შემდეგი საგნები:

ბუჰგალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა საანგარიშოზედ, ტეხნოლოგია, სავაჭრო საქონლის მეტყველება, კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვაჭრობის ცოდნა, სავაჭრო კანონები და მსურველთათვის: უცხო ენები, სტენოგრაფია, ვარჯიშობა მბეჭდავ მაშინაზედ.

წელს მოწვეულნი არიან მასწავლებლებად: ინჟენ. მ. ი. **ჩენგერი** და ს. პ. **ილიინი,** იურისტები: ა. ი. **მიცკევიჩი** და ვ. ფ. **სულევსკი,** მასწავლებელი ი. ი. **ბრონ ფონ ბრენნერი,** ს. ე. **კოზლოვი,** ო. ა. **სოკოლოვი** და სხვანი.

ფასი მთელის კურსისა პირველ განყოფილებაში 60 მ. მეორეში 75 მ. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. სწავლა დაიწყება 20 იანვარს. ცნობათათვის შეიძლება მიმართონ კლასების სადგომში, ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ტფილისი, ნიკოლოზის ქუჩა № 88. (10—473—2)

Открыта подписка на еженедѣльную газету

„АРГОНАВТЪ“.

Газета будетъ выходить въ форматѣ еженедѣльныхъ подъ новой редакціей.

Первый № возобновляемаго „Аргонавта“, выйдетъ 8 декабря 1902 г.

условиіе подписки.

Годовая палата для городскихъ подписчиковъ—5 руб., для иногороднихъ—7 руб. На полгода: для городскихъ—3 руб., для иногороднихъ—4 руб.

Отдѣленые №№ по 15 коп.

Годовые подписчики 1903 г., подписавшіеся теперь же, получаютъ безплатно газету въ декабрѣ текущаго года.

Бывшіе подписчики газ. „Аргонавтъ“, внесшіе плату за 1902 г., будутъ получать возобновляемое изданіе до 15 іюня 1903 г. Тѣ изъ нихъ, которые пожелаютъ получать „Аргонавтъ“ до 1 января 1904 г., вносятъ дополнительно 3 рубля.

За объявленіе взимается: за строку петита 10 коп. Годовыя объявленія со значительной скидкой.

Подписка и объявленія принимаются: 1) въ редакціи „Аргонавтъ“ (Сергіевская, д. № 2) ежедневно отъ 10 до 2 ч. 2) въ Центральной книжной Торговлѣ (Головинскій, д. Мириманова) и 3) въ табачномъ магазинѣ „Гаванна“. (Головинскій, д. 3). Иногородніе адресуютъ: Тифлисъ, редакція „Аргонавтъ“.

Вр. редакторъ *Р. А. Іоаннисіани*
(3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 декабря 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.